

## პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლები<sup>1</sup>

ლილი ხეჩუაშვილი, PhD

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერების ფაკულტეტი, ასისტენტ პროფესორი

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია მოზრდილებში პოსტტრავმული ზრდის საკვლევი ინსტრუმენტის (PTGI-Geo) ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლები, კერძოდ, ფაქტორული სტრუქტურა, ქვესკალების შინაგანი შეთანხმებულობა, სქესთა შორის განსხვავებები და პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლების განაწილება განსხვავებული ტრავმული გამოცდილების მქონე ჯგუფებში. 641 მონაწილეზე ჩატარებულმა კვლევის ორმა სერიამ აჩვენა, რომ კითხვარის ქართული ვერსია, ორიგინალური ხუთფაქტორიანის ნაცვლად, ოთხფაქტორიანი ინსტრუმენტია, რომელშიც უცვლელად არის შენარჩუნებული სხვებთან ურთიერთობის, პიროვნული სიძლიერისა და ახალი შესაძლებლობების სკალები, ხოლო სპირიტუალური ცვლილებისა (IV) და ცხოვრების დაფასების (V) სკალები გაერთიანდა და ახალი IV სკალა წარმოქმნა. შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლების მიხედვით, კითხვარის ქართული ვერსია უახლოვდება ორიგინალს, კერძოდ, 21 დებულების ჯამური კოეფიციენტი 0.92-ია, ხოლო ცალკეული სკალებისთვის კრონბახის ალფას მნიშვნელობა 0.74-დან 0.86-ის დიაპაზონში ცვალებადობს. ამასთან, ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ სხვებთან ურთიერთობისა და სპირიტუალური ცვლილების-ცხოვრების დაფასების სკალებზე. რაც შეეხება ტრავმული მოვლენის მიხედვით პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლების განსხვავებას, მოცემულ შერჩევაში მხოლოდ ახალი შესაძლებლობების ქვესკალაზე დაფიქსირდა სტატისტიკურად სანდო განსხვავება, კერძოდ, იმ ადამიანებს უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ ამ სკალაზე, რომლებმაც ურთიერთობა გაწყვიტეს ან დაასრულეს პარტნიორთან/მეუღლესთან, ვიდრე მათ, ვინც ახლობელი ადამიანის სიკვდილი გადაიტანა.

**საკვანძო სიტყვები:** პოსტტრავმული ზრდა, ფაქტორული სტრუქტურა, განსხვავებები.

სტატიაში წარმოდგენილია პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვერსიის<sup>2</sup> (PTGI-Geo) ფსიქომეტრული მახასიათებლების კვლევის რამდენიმე ეტაპი. კითხვარის ორიგინალური, ინგლისურენოვანი ვერსია პოსტტრავმული ზრდის ტრანსფორმაციული მოდელის ჩარჩოშია შექმნილი და ამავე მოდელის ავტორებს, ტედესკისა და კალჰოუნს

<sup>1</sup> კვლევა განხორციელდა ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევისა და ტრენინგის ინიციატივის უფროსი მკვლევარის კვლევით გრანტის ფარგლებში (CARTI under the International Higher Education Support Program of the Open Society Foundations. გრანტის გამცემი: ღია საზოგადოების ინსტიტიტუტის ფონდი, გრანტი N: IN2013-11481).

<sup>2</sup> PTGI-Geo-თან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე მიმართეთ სტატიის ავტორს ელექტრონულ მისამართზე [lili.khechuashvili@tsu.ge](mailto:lili.khechuashvili@tsu.ge)

(1995, 1996), ეკუთვნით. ტრანსფორმაციული მოდელის მიხედვით, პოსტტრავმულ ზრდაში მოიაზრება ის პოზიტიური ცვლილებები, რომლებსაც ადამიანები სტრესული და ტრავმული მოვლენების შემდეგ განიცდიან (Powell, et. al., 2003). მოდელის ავტორების (Tedeschi & Calhoun, 2004) მიხედვით, ტერმინი „პოსტტრავმული ზრდა“ ისეთ ცვლილებებზე მიუთითებს, რომლებსაც ინდივიდი ადაპტაციის უფრო მაღალ დონეზე გადაჰყავს, ვიდრე ტრავმულ გამოცდილებამდე იყო. შესაბამისად, ეს თვისებრივი ცვლილებაა ფუნქციონირებაში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზრდა უშუალოდ ტრავმის შედეგს არ წარმოადგენს და ის ფაქტი, რომ პიროვნება მეტ-ნაკლებად იზრდება ტრავმული გამოცდილების შემდეგ, არ ნიშნავს, რომ ტრავმის თანმდევი უარყოფითი გამოცდილება ქრება. გარდა ამისა, ზრდის ფენომენი არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ თავად ტრავმა წყვეტს არსებობას, როგორც დისტრესის მომტანი მოვლენა. ტედესკისა და კალჰუნის მიხედვით, პოსტტრავმული ზრდა ფსიქოლოგიური გადარჩენის მცდელობის შედეგად მიიღწევა და ის უპრობლემოდ შეიძლება თანაარსებობდეს ტრავმული გამოცდილების რეზიდუალურ დისტრესთან.

ავტორები, ასევე, მიუთითებენ, რომ პოსტტრავმული ზრდა სამ სხვადასხვა სფეროში შეიძლება შეინიშნებოდეს, ესენია: (ა) თვით-აღქმა ანუ ადამიანს ეცვლება დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი, (ბ) სხვებისადმი დამოკიდებულება ანუ ადამიანი გადააფასებს მის ირგვლივ მყოფ ადამიანებსა და მათთან ურთიერთობას და (გ) ზოგადი ცხოვრებისეული ფილოსოფია ანუ ადამიანი ხელახლა გაიაზრებს საკუთარ სულიერ, რელიგიურ, ღირებულებით ორიენტაციებს. როგორც ავტორები აღნიშნავენ, ეს სამი მიმართულება მათ მიერვე შექმნილ 21 დებულებიან კითხვარში, რომელიც სწორედ ამ ცვლილებების გასაზომად არის მოწოდებული, ხუთი ფაქტორით აღიწერება (Tedeschi & Calhoun, 1995). ეს ფაქტორებია: სხვებთან ურთიერთობა ( $\alpha=0.85$ , ხსნის დისპერსიის 17%-ს), ახალი შესაძლებლობები ( $\alpha=0.84$ , ხსნის დისპერსიის 16%-ს), პიროვნული სიძლიერე ( $\alpha=0.72$ , ხსნის დისპერსიის 11%-ს), სპირიტუალური ცვლილება ( $\alpha=0.85$ , ხსნის დისპერსიის 9%-ს) და ცხოვრების დაფასება ( $\alpha=0.67$ , ხსნის დისპერსიის 9%-ს) (Tedeschi and Calhoun, 1996).

პოსტტრავმული ზრდის კონსტრუქტის გასაზომად ყველაზე ხშირად სწორედ აღნიშნულ ინსტრუმენტს (Tedeschi & Calhoun, 1996; Jayawickreme & Blackie, 2014) იყენებენ. არსებობს კითხვარის სრული და შემოკლებული ვარიანტები. ორივე ვარიანტში კვლევის მონაწილეებს სთხოვენ, დაასახელონ ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი სტრესული გამოცდილება მათ ცხოვრებაში და მასთან მიმართებაში შეაფასონ თითოეულ დებულებაში აღწერილი ცვლილების ინტენსივობა ლიკერტის ფორმატის ექვსქულიან სკალაზე, რომელზეც „0“ აღნიშნავს პასუხს „საერთოდ არ მომხდარა ეს ცვლილება“ და „5“ მიუთითებს პასუხზე „ძალზე მნიშვნელოვნად შეიცვალა“ (Jayawickreme & Blackie, 2014). დებულებები ხუთ ქვესკალაზე ნაწილდება, ქულები კი მიღებული პასუხების დაჯამებით მიიღება. ამ ინსტრუმენტის თავისებურება ის არის, რომ მხოლოდ ერთი მიმართულებით ცვლილებას ზომავს, მაგალითად, თუ მონაწილესთვის გადატანილი ტრავმული/სტრესული მოვლენის შემდეგ ცხოვრება გაუფასურდა ან ნაკლებად ღირებული გახდა, დებულებაზე „ყოველი დღე უფრო ღირებულია“ პასუხის გაცემისას ამ ცვლილებას ვერ დააფიქსირებს, რადგან შეთავაზებული პასუხების ვარიანტები მხოლოდ დადებითი ცვლილების ჩვენებას ითვალისწინებს. ამიტომ მას მოუწევს

აღნიშნოს 0 ანუ „არავითარი ცვლილება არ მომხდარა“, რაც ერთგვარ უხერხულობას და უკმაყოფილებას იწვევს კვლევის მონაწილეებში<sup>3</sup> (Shakespeare-Finch, et. al., 2013).

დღეისათვის ნაკვლევია ინსტრუმენტის ზოგიერთი არაინგლისურენოვანი ვერსიის ფაქტორული სტრუქტურა, მათ შორის არსებობს კითხვარის ბოსნიური (Powell, et. al., 2003), ჩინური (Ho, Chan, & Ho, 2004), გერმანული (Maercker & Langner, 2001), ებრაული (Lev-Wiesel & Amir, 2003), იტალიური (Prati & Pietrantonio, 2013), იაპონური (Taku, et. al., 2007), სპარსული (Rahmani, et. al., 2012), პორტუგალიური (Lamela, et. al. 2013), ესპანური (Weiss & Berger, 2006) და თურქული Karanci, et. al., 2012) ვერსიები. კვლევა აჩვენებს, რომ პოსტრავმატული ზრდის კითხვარის ფაქტორული სტრუქტურა იცვლება კულტურის მიხედვით და მეტ-ნაკლებად განსხვავდება ტედესკისა და კალჰოუნის (1996) ორიგინალური ინსტრუმენტისგან, თუმცა უცვლელი რჩება ის სამი ზოგადი სფერო, რომელში მომხდარი ცვლილებების გასაზომადაც არის მოწოდებული ინსტრუმენტი. ასე მაგალითად, იტალიურ, თურქულ და პორტუგალიურ ვერსიებში შენარჩუნებულია ორიგინალური ხუთფაქტორიანი სტრუქტურა, გერმანულ და იაპონურ თარგმანებში ხუთიდან ოთხი ფაქტორი მეორდება, ხოლო ბოსნიურ ვერსიაში მხოლოდ სამი ფაქტორია, რომლებიც კარგად თანხვდება ტედესკისა და კალჰოუნის (1995) მიერ გამოდიფერენცირებულ ცვლილებების სამ ფართო სფეროს.

ტესტების თარგმნისა და კროს-კულტურული ადაპტაციის საერთაშორისო ინსტრუქციის (Bartram, 2000; Beaton, et. al., 2000; International Test Commission, 2010) მიხედვით, ადაპტაცია სამსაფეხურიანი პროცესია: (1) თარგმანი და ლინგვისტური ვალიდაცია ფუნქციური ეკვივალენტობის დასადგენად, (2) სკალების მოთხოვნების გადამოწმება ანუ მეტრული ეკვივალენტობის კვლევა (როგორცაა დებულებისა და სკალის კორელაციები და ფაქტორული სტრუქტურა) და (3) ნორმატიული მაჩვენებლების დადგენა და ვალიდაცია ახალი ინსტრუმენტისთვის სკალარული ეკვივალენტობის მისაღწევად. წარმოდგენილი ნაშრომი ამ პროცესის მეორე საფეხურს აღწერს, კერძოდ, მასში განხილულია მოზრდილებისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტის ქართული ვერსიის ფაქტორული სტრუქტურის, შინაგანი შეთანხმებულობის, სკალების სანდოობისა და გენდერული განსხვავების საკითხები.

## მეთოდი

### მონაწილეები

#### *1 კვლევა*

კვლევაში 300 მოხალისე მონაწილეობდა (საშუალო ასაკი=37.8 წელი, SD=16.8, min=19, max=84), რომელთაგან 218 (72.7%) ქალი იყო. დაქორწინებული და დასაქორწინებელი მონაწილეები თანაბრად იყვნენ განაწილებულნი (45.3% და 44.3%), 4.7% იყო განქორწინებული, 5.7% — ქვრივი. კვლევის მონაწილეთა 56%-ს უმაღლესი განათლება ჰქონდა (ხუთწლიანი დიპლომი, ბაკალავრი და მაგისტრი — 30.3%, 13% და 12.7%, შესაბამისად). დანარჩენი 24%-ს სტუდენტები შეადგენდნენ, 2.7%-ს არასრული და 9.3%-ს — საშუალო განათლება, დარჩენილ 8%-ს კი პროფესიული განათლება ჰქონდა მიღებული. შერჩევის თითქმის მესამედი უმუშევარი იყო (27.4%), რომელთაგან 16.7%-ს

<sup>3</sup> ეს იყო ქართული ვერსიის შემუშავების პროცესში ჩატარებული საპილოტე კვლევების მონაწილეთა ძირითადი უკმაყოფილების მიზეზი.

სტუდენტები შეადგენდნენ<sup>4</sup>. დასაქმებულთა 23% საჯარო სექტორში მუშაობდა, 21.3% — კერძო სექტორში, 3% თვითდასაქმებული იყო. ჯგუფის 8% პენსიაზე იმყოფებოდა, 10.3%-მა აღნიშნა, რომ დიასახლისი იყო, ხოლო 2% გაერთიანდა კატეგორიაში „სხვა“.

ყველა მონაწილე ეთნიკური ქართველი იყო. მათ უმრავლესობა (85.6%) თავს მართლმადიდებლად თვლიდა. ჯგუფის დანარჩენი წევრები არც ერთ აღმსარებლობას მიაკუთვნებდნენ საკუთარ თავს. მხოლოდ ერთმა მონაწილემ თქვა, რომ იელოვას მოწმე იყო. მართლმადიდებელ მონაწილეთა 12% რეგულარულად ასრულებდა რელიგიურ რიტუალებს, 34% ზოგჯერ, 27.7% ხანდახან, ხოლო 24%-მა თავი შეიკავა პასუხისგან.

მონაწილეთა 16.3%-მა აღნიშნა, რომ დიდი შემოსავალი ჰქონდა, 18.3%-ს — საშუალოზე მეტი, 32.3%-ს — საშუალო და 18.7%-ს — დაბალი შემოსავალი, ხოლო 14.4%-მა საკუთარი თავი ღარიბთა კატეგორიას მიაკუთვნა. რაც შეეხება საცხოვრებელი პირობების სუბიექტურ შეფასებას, მონაწილეთა 29%-მა თქვა, რომ კარგ პირობებში ცხოვრობს, 50% თვლიდა, რომ უფრო კარგ პირობებში ცხოვრობდა, ვიდრე ცუდში, 15.3% — უფრო ცუდში, ვიდრე კარგში და 5.7%-სთვის მათი საცხოვრებელი პირობები ცუდი იყო. მონაწილეთა მესამედი (35%) აღნიშნავდა, რომ კარგ ჯანმრთელობა ჰქონდა, 44.3%-ს — უფრო კარგი, ვიდრე ცუდი, 13.7%-ს — უფრო ცუდი, ვიდრე კარგი და 7%-ს — ცუდი.

მონაწილეთა დიდი ნაწილი (82.7%) ქალაქში ცხოვრობდა, დანარჩენი (17.3%) კი — სოფლად. ეს იძულებით გადაადგილებული პიროვნებები იყვნენ, რომლებიც სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ ახალ დასახლებებში ბინადრობდნენ. ნაწილი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გაჩენილ ბუფერულ ზონებში ცხოვრობდა (მეტი დეტალებისთვის იხ. Khechuashvili, 2014b).

რაც შეეხება ბოლო ორი წლის განმავლობაში გადატანილ ტრავმულ გამოცდილებას, მონაწილეთა 46.7%-მა (140) დაასახელა ახლობელი ადამიანის, 21%-მა (63) — მეუღლესთან/პარტნიორთან დაშორება, 12.3%-მა (37) — ჯანმრთელობის პრობლემები (ტრავმა ან ავადმყოფობა) და დანარჩენმა 20%-მა (60) შეადგინა კატეგორია „ცხოვრების გარემოებების ცვლილებები“, რომელშიც შევიდა ისეთი გამოცდილება, როგორცაა პიროვნული მიღწევები, ფინანსური მდომარეობის, ოჯახის სტრუქტურის, განათლების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის ან ძილის პატერნის ცვლილება.

## // კვლევა

კვლევის ამ ეტაპზე 341 მოხალისე მონაწილეობდა (საშუალო ასაკი=23.6, SD=7.9, min=18, max=64, მედიანა=21, მოდა=20, რაც უფრო ახლოს დგას ორიგინალური ამერიკული შერჩევის ასაკობრივ შემადგენლობასთან, რომელთაგან 286 (83.9%) იყო ქალი. დასაოჯახებელი მონაწილეები შერჩევის 81.8%-ს შეადგენდნენ, 13.8% ქორწინებაში იმყოფებოდა, 4.1% განქორწინებული და 0.3% ქვრივი იყო. განათლების მიხედვით ჯგუფი ასე განაწილდა: 38.4%-ს ჰქონდა უმაღლესი განათლება (ხუთწლიანი დიპლომი, ბაკალავრი და მაგისტრი — 11.1%, 21.4% და 5.9%, შესაბამისად. დანარჩენი 54.8% სტუდენტები იყვნენ, 2.3%-ს არასრული საშუალო და 1.9%-ს საშუალო განათლება ჰქონდა, ხოლო 2.6%-ს პროფესიული სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. ჯგუფის 56.3% სტუდენტები იყვნენ, უმუშევრები 10.6%-ს შეადგენდნენ. დასაქმებულთა 8.8% საჯარო

<sup>4</sup> სტუდენტის სტატუსის მქონე მონაწილეებიდან აქ სტუდენტის კატეგორიაში მხოლოდ ის სტუდენტები შევიდნენ, რომლებიც არ მუშაობდნენ კვლევის ჩატარების მომენტისთვის. სწავლის პარალელურად ვინც მუშაობდა, ისინი დასაქმებულთა კატეგორიაში გაერთიანდნენ.

სექტორში და 14.9% კერძო სექტორში მუშაობდა, 4.1% თვითდასაქმებული იყო, 0.3% – პენსიაზე, 3.5% – დიასახლისი, ხოლო 1.5%-მა თავი „სხვა“ კატეგორიას მიაკუთვნა.

ყველა მონაწილე ეთნიკური ქართველი იყო. უმრავლესობა (87.4%) თავს მართლმადიდებლად თვლიდა. გარდა ამისა, ჯგუფში იყო ერთი ბაპტიტი და ერთი ბუდისტი, ოთხი აგნოსტიკოსი. დანარჩენები (10.9%) არც ერთ აღმსარებლობას მიაკუთვნებდნენ თავს. მართლმადიდებელთა 6.5% სისტემატურად ასრულებდა რელიგიურ რიტუალებს, 32.6% — ზოგჯერ, 33.7% — იშვიათად, 20.5% — არასოდეს, ხოლო 6.7%-მა თავი შეიკავა პასუხისგან.

ყველა მონაწილე ქალაქში ცხოვრობდა. მათი 16.3% თვლიდა, რომ მაღალი შემოსავალი ჰქონდა, 30.5% — საშუალოზე მეტი, 36.7% — საშუალო, 13.8% — დაბალი და 2.6% თავს ღარიბად თვლიდა. საცხოვრებელი პირობების სუბიექტური შეფასების მიხედვით, მონაწილეთა 44.6% კარგ პირობებში ცხოვრობდა, 43.1% — უფრო კარგში, ვიდრე ცუდში, 11.4% — უფრო ცუდში, ვიდრე კარგში და 0.9% — ცუდში. მონაწილეთა ნახევარზე მეტს (56%) კარგი ჯანმრთელობა ჰქონდა, 38,7%-ს — უფრო კარგი, ვიდრე ცუდი, 4.4%-ს — უფრო ცუდი, ვიდრე კარგი და და 0,9%-ს — ცუდი.

რაც შეეხება ბოლო ორი წლის განმავლობაში გადატანილ ტრავმულ გამოცდილებას, 308 მონაწილიდან თითქმის მესამედმა (29.2%, 90) დაასახელა ახლობელი ადამიანის გარდაცვალება, 24%-მა (74) – საკუთარ თავთან დაკავშირებული მოვლენები (საცხოვრებელი ადგილის ან ფინანსური მდგომარეობის შეცვლა), 18.5%-მა (57) – ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გამოცდილება (ტრავმა, ავადმყოფობა, ძილის დარღვევები), 15.9%-მა (49) – ოჯახთან დაკავშირებული მოვლენები (ოჯახის წევრის ჯანმრთელობის მდგომარეობის ან ოჯახის სტრუქტურის ცვლილება) და 12.3%-მა (38) – ურთიერთობები (მეუღლესთან./პარტნიორთან დაშორება)

## ინსტრუმენტები

*პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვერსია (PTGI-Geo)* მიღებულ იქნა ლინგვისტური ვალიდაციის ყველა საჭირო პროცედურის გავლის შედეგად.<sup>5</sup> კითხვარის ავტორის, რიჩარდ ტედესკის ნებართვით, თავდაპირველად განხორციელდა სამი დამოუკიდებელი თარგმანი ინგლისურიდან ქართულზე, რომელთა გაერთიანებით შეიქმნა პირველი ქართული სამუშაო ვერსია. შემდეგ ეს ვერსია ორმა დამოუკიდებელმა მთარგმნელმა, რომელთა საქმიანობა არაფრით უკავშირდება ფსიქოლოგიას და კვლევის თემას, ისევ ინგლისურად თარგმნა. ორიგინალური და ნათარგმნი ინგლისური ვერსიები ინგლისური კითხვარის ავტორმა რიჩარდ ტედესკიმ და დოქტორმა მაკლინმა<sup>6</sup> შეადარებს ერთმანეთს და შეაფასეს. მათგან მიღებული უკუკავშირის მიხედვით მოდიფიცირდა რამდენიმე დებულება, ჩატარდა პირველი საპილოტე კვლევა და ექსპერტიზა. ამას მოჰყვა კიდევ რამდენიმე პილოტი, ვიდრე მიღწეულ არ იქნა კითხვარის თითოეული სკალის დამაკმაყოფილებელი შინაგანი შეთანხმებულობა. ქართულ ენაზე გამართული დებულებების საბოლოო ვერსიის შექმნა ფილოლოგის მიერ დებულებების შეფასებით დასრულდა. ამრიგად, ქართული ვერსია, რომელიც მოცემულ

<sup>5</sup> თარგმანისა და ენობრივი გამართვის პროცესის დეტალური აღწერისთვის იხ. Khechuashvili, 2014a, ან დაუკავშირდით სტატიის ავტორს.

<sup>6</sup> Kate McLean, ასოცირებული პროფესორი, დასავლეთ ვაშინგტონის უნივერსიტეტი, ვაშინგტონის შტატი, აშშ.

კვლევაშია გამოყენებული, ორიგინალურის მსგავსად, 21 დებულებისგან შედგება (იხ. ქვემოთ, ცხრილი N1)

*ცხოვრებისეული სტრესის სკალა* გამოყენებულ იქნა ბოლო ორი წლის მანძილზე გადატანილი სტრესული/ტრავმული მოვლენის არსებობისა და შინაარსის განსასაზღვრად (Khechuashvili, 2014a). ამ ჩამონათვალში შედის როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მოვლენები, რომლებიც აღებულია ორიგინალური 43-დებულებიანი ჩამონათვალიდან (Holmes & Rahe, 1967). ქართული ვერსია 23 მოვლენის ჩამონათვალია (კრონბახის ალფა = 0.76).

### მონაცემების შეგროვების პროცედურა

*ინფორმირებული თანხმობა.* კვლევის მონაწილეებს კითხვარები მხოლოდ ინფორმირებული თანხმობის ფორმის წაკითხვისა და ხელმოწერის შემდეგ ეძლეოდათ. კვლევის ასისტენტები პასუხობდნენ ყველა კითხვას კვლევის პროცედურების, კვლევიდან გამოთიშვის, მონაცემთა საკუთრების, ანონიმურობა/კონფიდენციალობის, გამოქვეყნების და ა. შ. საკითხების შესახებ.

*პროცედურა.* კვლევის ორივე ნაწილის მონაწილეებს ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში ეძლეოდათ ინტრუმენტების ბლოკი,<sup>7</sup> სოფლად მცხოვრებს მოსახლეობასთან კვლევა მათ სახლებში ჩატარდა. თითოეული მონაწილე ავსებდა კითხვარის დემოგრაფიულ ნაწილს, კითხულობდა სტრესული მოვლენების ჩამონათვალს და აღნიშნავდა („დიახ“ ან „არა“) იმ მოვლენებს, რომლებიც მოხდა მის ცხოვრებაში ბოლო ორი წლის განმავლობაში. შემდეგ არჩევდა ყველაზე ინტენსიურ და გავლენიან მოვლენას და მასთან ურთიერთობაში პასუხობდა პოსტტრავმული ზრდის კითხვარის დებულებებს.

### მონაცემთა ანალიზი

*I კვლევა.* PTGI-Geo-ის ფაქტორული სტრუქტურის დასადგენად განხორციელდა ძირითადი კომპონენტების ანალიზი ვარიმაქს ბრუნვით ანუ იგივე მეთოდი, რომელიც ორიგინალური ინსტრუმენტის შექმნისას გამოიყენეს ავტგორებმა (Tedeschi & Calhoun, 1996; Taku, et. al., 2007).

*II კვლევა.* ანალიზი ოთხ ეტაპად განხორციელდა. (1) გამოყენებულ იქნა იგივე მეთოდი, რაც პირველ კვლევაში და დამატებით განხორციელდა დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი; (2) გამოითვალა თითოეული დადგენილი სკალისთვის შინაგანი შეთანხმებულობის კოეფიციენტები (კრონბახის ალფა) და ინსტრუმენტის ქვესკალებს შორის კორელაციები; (3) სქესთა შორის შესაძლო განსხვავებების გამოსავლენად გამოყენებულ იქნა სტიუდენტის  $t$  კრიტერიუმი დამოუკიდებელი შერჩევებისთვის და, ბოლოს, (4) ტრავმული გამოცდილების მიხედვით გამოყოფილი ჯგუფების

<sup>7</sup> კვლევის პირველი ნაწილი უფრო ფართომასშტაბიანი, შერეული მეთოდოლოგიით წარმოებული კვლევის ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც ცხოვრებისეულ ისტორიებში ფსიქოლოგიური კარგად ყოფნისა და პოსტტრავმული ზრდის ინტიკატორების გამოვლენას ისახავდა მიზნად. ამიტომ ამ სტატიაში წარმოდგენილი მონაცემები უფრო დიდი მონაცემთა ბაზის მხოლოდ ნაწილს შეადგენს. კვლევის მეორე ნაწილი აღნიშნული კვლევისგან დამოუკიდებლად ჩატარდა.

პოსტრავმული ზრდის სკალების მაჩვენებლების შესადარებლად გამოყენებულ იქნა დისპერსიის მულტივარიაციული ანალიზი (MANOVA).

ყველა დასკვნა გაკეთდა მნიშვნელოვნების  $p < 0.05$  დონეზე. ყველა სტატისტიკური პროცედურა შესრულდა IBM.SPSS-სა (ვერსია 22.0 ვინდოუსისთვის) და SPSS.AMOS-ის (ვერსია 22.0 ვინდოუსისთვის) გამოყენებით.

## შედეგები

### I კვლევა

#### *ძირითადი კომპონენტების ანალიზი (PCA)*

პოსტრავმული ზრდის ქართული ვერსიის ფაქტორული სტრუქტურის დასადგენად, 21 დებულებაზე განხორციელდა პირველადი კომპონენტების ანალიზი ვარიანსის ბრუნვით. შერჩევის მოცულობა ( $N=300$ ) ადეკვატური იყო ( $KMO=0.89$ ). ცალკეული დებულებებისთვის  $KMO > 0.77$ , რაც მინიმალურ მისაღებ მაჩვენებელზე (0.5) მაღალია (Field, 2013). კაიზერის კრიტერიუმის 1-ზე მეტი საკუთრივი მნიშვნელობის მიხედვით, გამოიყო ოთხი ფაქტორი (6.941, 2.290, 1.122 და 1.069, შესაბამისად), რომლებიც ერთად საერთო დისპერსიის 55%-ს ხსნიდნენ. 21 დებულებისთვის კრონბახის  $\alpha = .90$ . დებულებების ფაქტორებზე ატვირთვა განისაზღვრა ორიგინალურ ინგლისურენოვან კვლევაში (Tedeschi & Calhoun, 1996) გამოყენებული კრიტერიუმის მიხედვით: დებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლებოდა მოცემულ ფაქტორზე ატვირთულად, თუ ამ ფაქტორზე მისი წონა 0.5-ზე მეტი და სხვებზე 0.4-ზე ნაკლები იყო.

ოთხი დებულება პრობლემური აღმოჩნდა, კერძოდ, IX და XIII დებულებებს შედარებით დაბალი (0.5-ზე ნაკლები) წონა ჰქონდათ (დებულების შინაარსისთვის იხ. ცხრილი N1), ხოლო XI, XIII და XVII დებულებები ორ სხვადასხვა ფაქტორზე აიტვირთა. ამ ოთხი დებულების ამოღების შემდეგ განმეორებითი ანალიზის შემდეგ იგივე ოთხი ფაქტორი იქნა მიღებული, რომლებიც ერთობლივად დისპერსიის 56%-ს ხსნიდნენ (17 დებულებისთვის  $\alpha = 0.87$ ). რაც შეეხება თავად ფაქტორებს, ორიგინალური კითხვარის პირველი სამი ფაქტორი უცვლელი დარჩა (I და II ფაქტორები გადანაცვლდა), ხოლო IV და V ფაქტორები გაერთიანდა.

ვინაიდან 21-ვე დებულების შენარჩუნება ოპტიმალური გამოსავალი იყო, პრობლემური დებულებები გადამუშავდა და ჩატარდა კვლევის მეორე ეტაპი.

### II კვლევა

#### *ძირითადი კომპონენტების ანალიზი (PCA)*

341 მონაწილეზე ჩატარებული პირველადი კომპონენტების ანალიზმა ასეთი სურათი აჩვენა:  $KMO=0.91$ , ცალკეული დებულებებისთვის ყველა  $KMO > 0.78$ . ამჯერადაც 1-ზე მეტი კაიზერის კრიტერიუმის მქონე ოთხი ფაქტორი (7.900, 1.850, 1.242 და 1.103, შესაბამისად) გამოიყო, რომელთა კომბინაცია დისპერსიის 57.6%-ს ხსნიდა ( $\alpha = 0.92$ ). ცხრილში N1 წარმოდგენილია PTGI-Geo-ის თითოეული დებულების ფაქტორული დატვირთვა და აღწერითი სტატისტიკა. დებულებების ფაქტორებზე ატვირთვა იმავე კრიტერიუმის მიხედვით მოხდა, რომლითაც წინა ჯერზე.

ცხრილი N1. პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვერსიის 21 დებულების ფაქტორული დატვირთვა, საშუალოები და სტანდარტული გადახრები (გადამუშავებული დებულებების ჩათვლით).

ქართული ვერსიის დებულებები და ფაქტორული დატვირთვა	F1	F2	F3	F4	ორიგ. ფაქტ.	M (SD)
<b>I ფაქტორი: ახალი შესაძლებლობები</b>						
14 ახალი შესაძლებლობები მომეცა, რომლებიც სხვა შემთხვევაში არ მექნებოდა.	.804				II	2.17(1.85)
3 ახალი ინტერესები გამიჩნდა.	.724				II	3.03(1.71)
11 ცხოვრებაში უკეთესი საქმეების კეთება შემიძლია	.686				II	2.47(1.82)
7 ცხოვრებაში ახალი გზა დავისახე	.680				II	2.69(1.77)
17 ჩემგან მეტად არის მოსალოდნელი, რომ შევცვლი იმას, რაც შესაცვლელია.	.644				II	2.63(1.84)
<b>II ფაქტორი: სხვებთან ურთიერთობა</b>						
8 სხვენთან მეტ სიახლოვეს ვგრძნობ.		.780			I	1.80(1.72)
9 უფრო მეტად ვარ მომზადებული საკუთარი ემოციების გამოხატვისთვის.		.749			I	1.72(1.67)
20 ბევრი რამ გავიგე იმის შესახებ, რამდენად კარგები არიან ადამიანები.		.708			I	1.59(1.64)
6 ახლა უკვე ვიცი, რომ შემიძლია ვენდო ადამიანებს მძიმე პერიოდებში.		.607			I	1.86(1.67)
21 უფრო ადვილად ვადიარებ იმ ფაქტს, რომ სხვა ადამიანები მჭირდება.		.542			I	2.43(1.79)
16 უფრო მეტ ძალისხმევას ვდებ ურთიერთობებში.		.464			I	2.47(1.76)
15 უფრო მეტად ვუთანაგრძნობ სხვებს		.410			I	2.79(1.78)
<b>III ფაქტორი 3: პიროვნული სიძლიერე</b>						
19 აღმოვაჩინე, რომ იმაზე ძლიერი ვარ, ვიდრე მეგონა.			.775		III	3.24(1.76)
10 უკეთ ვიცი, რომ შემიძლია სირთულეებთან გამკლავება.			.738		III	3.30(1.65)
12 უფრო მეტად შემიძლია არსებული რეალობის მიღება.			.568		III	3.09(1.72)
4 უფრო მეტად ვენდობი საკუთარ თავს			.503		III	2.72(1.82)
<b>IV ფაქტორი: სპირიტუალური ცვლილება და ცხოვრების დაფასება</b>						
5 ახლა მეტად მესმის სულიერი (არა მხოლოდ რელიგიური) საკითხები.				.669	IV	2.35(1.76)
2 ჩემი სიცოცხლე ახლა უფრო დავაფასე.				.647	V	2.29(1.83)
1 მივხვდი, რომ ცხოვრებაში თურმე სულ სხვა რამეები ყოფილა მნიშვნელოვანი.				.639	V	3.06(1.58)
18 უფრო მყარი რელიგიური რწმენა მაქვს.				.577	IV	1.49(1.74)
13 თითოეული დღე უფრო ღირებულია.				.474	V	2.87(1.76)

შენიშვნა: ცხრილში დებულებულებების მხოლოდ 3-ზე მეტი კოეფიციენტებია წარმოდგენილი. რომაული ციფრებით აღნიშნულია დებულებების ორიგინალური ფაქტორი.



როგორც ცხრილიდან N1 ჩანს, პირველი სამი ორიგინალური ფაქტორი უცვლელად არის შენარჩუნებული, IV და V ფაქტორები კი გაერთანდა. ამასთან, ორიგინალური ვერსიის I და II ფაქტორები ქართულ ვარიანტში პირიქით თანმიმდევრობით დალაგდა. ამრიგად, ქართული კითხვარისთვის მიღებული ოთხი ფაქტორია: ახალი შესაძლებლობები (5 დებულება), სხვებთან ურთიერთობა (7 დებულება), პიროვნული სიძლიერე (4 დებულება) და სპირიტუალური ცვლილება-ცხოვრების დაფასება (5 დებულება). 21-ვე დებულებას მისაღები წონა ჰქონდა და არც ერთი მათგანი არ იტვირთებოდა ერთზე მეტ ფაქტორზე.

#### *დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი (CFA)*

პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვარიანტის ფაქტორული სტრუქტურის შესამოწმებლად, მოდელი სტრუქტურული განტოლების მოდელირებით (SEM) გადამოწმდა. მოსალოდნელი იყო კითხვარის ოთხი სკალის ურთერთდაკავშირებულობა. მოდელი გასაანალიზებლად შეტანილ იქნა AMOS 22-ში და გამოყენებულ იქნა შეფასების მაქსიმალური ალბათობის მეთოდი. თავდაპირველად, როგორც წესი, მთლიანი მოდელის მორგება (model fit) ხი-კვადრატის გამოყენებით ფასდება. მონაცემების მიხედვით,  $\chi^2 (164)=419.6$ ,  $p=.000$ . თუმცა,  $\chi^2$  მგრძნობიარეა შერჩევის მოცულობის მიმართ და თუ შერჩევის მოცულობა 150-200-ს აღემატება, მაშინ  $\chi^2$ -ის მეთოდი არ არის სანდო. შესაბამისად, საჭირო ხდება ალტერნატიული გზების გამოყენება. ეს მეთოდებია ნორმირებული მორგების ინდექსი (NFI), შედარებითი მორგების ინდექსი (CFI), ტუკერ-ლუისის ინდექსი (TLI) და მიახლოების საშუალო კვადრატის შეცდომა (RMSEA). ამ სტატისტიკების 0.90-ზე მაღალი მნიშვნელობა მისაღები მორგების მაჩვენებელია, ხოლო RMSEA-ის შემთხვევაში დაახლოებით 0.06 ან ნაკლები მნიშვნელობა მიუთითებს მოდელის მისაღებ მორგებაზე. ანალიზის შედეგები აჩვენებს, რომ NFI=0.944, CFI=0.904, TLI=0.986 და RMSEA=0.066. ამრიგად, ამ კვლევის მონაცემებს მოდელი მისაღებად ერგება.

#### *შინაგანი შეთანხმებულობა და ინტერკორელაციები*

პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვერსიის 21 დებულებისთვის კრონბახის  $\alpha=0.92$  (Cronbach, 1951), მიღებული ოთხი ფაქტორისთვის კი: ახალი შესაძლებლობები  $\alpha=0.86$ , სხვებთან ურთიერთობა  $\alpha=0.83$ , პიროვნული სიძლიერე  $\alpha=.080$  და სპირიტუალური ცვლილება-ცხოვრების დაფასება  $\alpha=0.74$ .

კითხვარის ოთხივე სკალა მნიშვნელოვნად კორელირებდა ერთმანეთთან (პირსონის კორელაციის კოეფიციენტი  $0.50 < r < 0.66$ , ცხრილი N2), რაც თანხვედბა ორიგინალურ კვლევაში მიღებულ შედეგებს (Tedeschi & Calhoun, 1996).

#### *სქესთა შორის განსხვავებები*

პოსტტრავმული ზრდის საერთო მაჩვენებლის ( $t(339)=2.198$ ,  $p=.029$  [.795; 14.308]) მიხედვით სტატისტიკურად სანდო განსხვავება გამოვლინდა ქალებსა ( $M=55.1$ ,  $SD=23.21$ , დიაპაზონი 1 – 108) და მამაკაცებს ( $M=47.6$ ,  $SD=23.9$ , დიაპაზონი 0 – 94) შორის, კერძოდ, ქალებთან ეს მაჩვენებელი უფრო მეტია, ვიდრე მამაკაცებთან.

გარდა ამისა, ქალებს ( $M=15.1$ ,  $SD=8.1$  და  $M=12.4$ ,  $SD=6.0$ , შესაბამისად) სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ სხვებთან

ურთიერთობებისა ( $t(339)=2.292, p=.023$  [.403; 5.282]) და სპირიტუალური ცვლილების-ცხოვრების დაფასების ( $t(339)=2.330, p=.020$  [.324; 3.841]) სკალებზე.

**ცხრილი N2. პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვერიის ფაქტორების ინტერკორელაციები.**

	ახალი შესაძლებლობები	სხვებთან ურთიერთობა	პიროვნული სიძლიერე	სპირიტუალური ცვლილება/ცხოვრების დაფასება
ახალი შესაძლებლობები	--	--	--	--
სხვებთან ურთიერთობა	.505**	--	--	--
პიროვნული სიძლიერე	.659**	.653**	--	--
სპირიტუალური ცვლილება და ცხოვრების დაფასება	.536**	.613**	.613**	--

შენიშვნა: \*\* $p=.000$

*პოსტტრავმული ზრდა და განსხვავებული ტრავმული მოვლენები*

იმის გასარკვევად, განსხვავდებოდა თუ არა პოსტტრავმული ზრდის ხარისხი თითოეული სკალის მიხედვით განსხვავებული ტრავმული მოვლენების შემთხვევაში, დისპერსიის მულტივარიაციული ანალიზი (MANOVA) იქნა გამოყენებული (ცხრილი N3). ანალიზი 308 მონაწილის მაჩვენებლებზე განხორციელდა. დამოუკიდებელ ცვლადის მნიშვნელობებად ხუთი განსხვავებული ტრავმული მოვლენა იქნა აღებული, ხოლო PTGI-Geo-ის სკალები — დამოკიდებულ ცვლადებად.

**ცხრილი N 3. PTGI-Geo-ის ოთხი სკალის საშუალოები და სტანდარტული გადახრები ტრავმული მოვლენის ხუთი კატეგორიის მიხედვით და მულტივარიაციული ანალიზი ( $F$  და წყვილების შედარება)<sup>a</sup>**

	ქულათა დიაპაზონი	(1) ახლობელი ადმიანის გარდაცვალება (n=90)	(2) საკუთარი თავი (n=74)	(3) ჯანმრთელობა (n=57)	(4) ოჯახი (n=49)	(5) ურთიერთობა (n=38)	$F$	წყვილების შედარება
<b>F1:</b> ახალი შესაძლებლობები	0 – 25	11.1(7.2)	13.6(7.5)	13.2(6.7)	13.2(7.1)	16.0(6.2)	3.517*	(1)<(5)
<b>F2:</b> სხვებთან ურთიერთობა	0 – 35	14.4(8.8)	14.9(8.5)	15.0(8.1)	15.6(9.3)	13.3(7.8)	.453	
<b>F3:</b> პიროვნული სიძლიერე	0 – 25	13.4(6.8)	14.2(6.7)	14.1(5.6)	15.2(6.3)	14.9(6.3)	.744	
<b>F4:</b> სპირიტუალური ცვლილება და ცხოვრების დაფასება	0 – 25	12.5(6.1)	11.1(6.2)	12.0(5.6)	13.1(6.3)	12.0(5.6)	.907	

შენიშვნა: <sup>a</sup> PTGI-Geo-ის ოთხივე სკალა იქნა შეტანილი ერთ MANOVA-ში, SPSS GLM პროცედურაში. \* $p=.008$

კოვარიაციის მატრიცების თანაბრობის ბოქსის ტესტმა (Box's  $M = 38.387$ ,  $F = 0.929$ ,  $p = 0.598$ ) აჩვენა, რომ შესრულდა დისპერსიის-კოვარიაციის ჰომოგენურობის პირობა. განსხვავებული ტრავმული მოვლენების საერთო ეფექტი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა Wilks's  $\lambda = .888$ ,  $F(16) = 2.28$ ,  $p = 0.003$ , პარციალური  $\eta^2 = 0.030$ . მარგინალური საშუალოების საფუძველზე, ბონფერონის მიდგომით განხორციელებულმა წყვილების შედარებამ აჩვენა, რომ იმ ადამიანებს უფრო მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ ახალი შესაძლებლობების სკალაზე, რომლებმაც ურთიერთობა გაწყვიტეს ან დაასრულეს პარტნიორთან/მეუღლესთან, ვიდრე იმ ადამიანებს, რომლებსაც ახლობელი ადამიანის გარდაცვალება გადაიტანეს.

## შედეგების განხილვა და ინტერპრეტაცია

ამრიგად, მოცემული კვლევა აჩვენებს, რომ მოზრდილებისთვის განკუთვნილი პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვერსია კარგი შინაგანი შეთანხმებულობით ხასიათდება, ხოლო მისი ფაქტორული სტრუქტურა ახლოს დგას ორიგინალური კითხვარის სტრუქტურასთან (Tedeschi & Calhoun, 1996). პოსტტრავმული ზრდის საშუალო ქულის მიხედვით, შერჩევის ნახევარზე მეტს, სულ მცირე, სტრესული გამოცდილების შემდეგ ზომიერი ან მნიშვნელოვანი ზრდის განცდა ჰქონდა (PTGI-Geo-ის საშუალო ჯამური ქულა  $>54$ , შესაძლო ქულების დიაპაზონია 1-108).

PTGI-Geo-ის ფაქტორული ანალიზის შედეგად იქნა მიღებული ოთხი ფაქტორი: პირველი სამი ფაქტორი — ახალი შესაძლებლობები, სხვებთან ურთიერთობა და პიროვნული სიძლიერე — იმეორებდა ორიგინალური ინსტრუმენტის ფაქტორებს (თუმცა I და II ფაქტორების თანმიმდევრობა ურთიერთშენაცვლებულია), ხოლო დანარჩენი ორი ორიგინალური ფაქტორი — სპირიტუალური ცვლილება და ცხოვრების დაფასება — გაერთიანდა მოცემულ შერჩევაში. ასეთი სურათი მიიღეს კითხვარის ესპანურ (Weiss & Berger, 2006) და იაპონურ (Taku, et. al., 2007) ვერსიებშიც.

როგორც პოსტტრავმული ზრდის ტრანსფორმაციული მოდელისა და კითხვარის ავტორები (Tedeschi & Calhoun, 2004c) აღნიშნავენ, კითხვარის ფაქტორული სტრუქტურა ცვალებადია სხვადასხვა კულტურაში, თუმცა ის ვალიდურად ზომავს სამ ფართო სფეროში (საკუთარი თავისადმი და სხვებისადმი დამოკიდებულება და ცხოვრების ფილოსოფია) მომხდარ ცვლილებას. ამასთან, ორიგინალურ ვერსიაში საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების ცვლილება იზომება ორი (ახალი შესაძლებლობები და პიროვნული სიძლიერე), სხვებისადმი დამოკიდებულება ერთი (სხვებთან ურთიერთობა) და ცხოვრების ფილოსოფია ორი (სპირიტუალური ცვლილება და ცხოვრების დაფასება) სკალით. ქართულ (ისევე, როგორც იაპონურ, გერმანულ და ესპანურ) ვერსიებში ცხოვრების ფილოსოფიაში ცვლილებების საზომი ორი სკალა გაერთიანებულია. ის, თუ კონკრეტულად რა განაპირობებს ასეთ შედეგს, შემდგომი კვლევის საგანია, თუმცა ამ ეტაპზე, ამ და საპილოტე კვლევის თვისებრივ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ კვლევაში მონაწილე ადამიანებისთვის ცხოვრების დაფასება, დიდწილად, ორგანულად უკავშირდება რწმენის გაძლიერებას. როგორც საპილოტე კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, სიცოცხლის ღირებულების გადაფასება და არსებული ცხოვრების დაფასება იმთავითვე მოიაზრებდა მეტად რელიგიურად გახდომას, ღმერთისა და რწმენის საკითხებზე მეტად დაფიქრებას და, საერთო ჯამში, მეტად წასვლას ეკლესიაში. სავარაუდოდ, ასეთი პოზიცია გახდა კიდევ იმის (ალბათ,

ერთ-ერთი) მიზეზი, რომ სპირიტუალური ცვლილების ამსახველი დებულებები მხოლოდ მას შემდეგ ამუშავდა, რაც ცალსახად რელიგიური, რწმენასთან დაკავშირებული შინაარსი ჩაიდო მათში.

ამ უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით უფრო დეტალურად აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ, მაგალითად, იაპონური ვერსიისგან განსხვავებით, ქართულ ვერსიაში გართულდა სპირიტუალური ცვლილების სკალის დებულებების იმგვარად მოქართულება, რომ არც ორიგინალური დებულებების შინაარსი დაკარგულიყო და დებულებებს ემუშავათ კიდევ. საქმე ისაა, რომ ორიგინალურ ვერსიაში სპირიტუალური ცვლილება აუცილებლობით არ გულისხმობს რელიგიაში წასვლას, რწმენის გაძლიერებას ან ნებისმიერ სხვა ცვლილებას, რომელიც რწმენას უკავშირდება. შესაბამისად, ამ დებულებების მხოლოდ თარგმნა არ აღმოჩნდა საკმარისი (იხ. Khechushvili, 2014a). საჭირო გახდა რამდენიმე საპილოტე კვლევის ჩატარება და დებულებების ტექსტის მოდიფიცირება, რათა მათ სათანადოდ ემუშავათ. საბოლოოდ, სკალის ორი დებულება (V და XVIII დებულებები) მაშინ ამუშავდა (მიღებულ იქნა კრონზახის ალფას დამაკმაყოფილებელი მნიშვნელობა), როდესაც მათი შინაარსი ცალსახად დაუკავშირდა რელიგიას (იხ. ცხრილი N1). ეს, სავარაუდოდ, ქართული კულტურის თავისებურებიდან გამომდინარეობს, რომლის წევრთა დიდი ნაწილი (83.9%) (GeoStat, 2015) მართლმადიდებლად მიიჩნევს თავს და, როგორც ჩანს, მათთვის სპირიტუალური ცვლილება პირდაპირ უკავშირდება რწმენის მატება-კლებას.

მოცემულ კვლევაში სტატისტიკურად განსხვავებული მაჩვენებლები ჰქონდათ ქალებსა და მამაკაცებს. ეს შედეგი ლოგიკურად ერგება სხვა კულტურებში წარმოებული კვლევების შედეგებს. კერძოდ, ქართულ შერჩევაში ქალებს უფრო მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ, ვიდრე მამაკაცებს. ანალოგიური შედეგები მიიღეს დასავლურ კულტურებში ჩატარებულ მთელ რიგ კვლევებში (მაგალითისთვის იხ. Bellizzi, 2004; Sheikh & Marotta, 2005; Tedeschi & Calhoun, 1996), თუმცა იაპონიაში ჩატარებული კვლევები არ აჩვენებს გენდერულ განსხვავებას (მაგალითისთვის Taku, et. al., 2007). ავტორები ასეთ სურათს, უპირატესად, დასავლურ კულტურაში ქალების, მამაკაცებთან შედარებით, უფრო მეტად რელიგიურობით ხსნიან, რაც, შესაძლოა, ერთ-ერთი, მაგრამ არა — ერთადერთი ამხსნელი ფაქტორი იყოს. საინტერესოა, რომ ქართულ შერჩევაში სწორედ რომ სპირიტუალური ცვლილების-ცხოვრების დაფასების სკალაზე ჰქონდათ ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, უფრო მაღალი მაჩვენებელი. მათ სხვებთან ურთიერთობების სკალაზეც უფრო მაღალი მაჩვენებელი დაუფიქსირდათ. ამიტომ, შესაძლებელია, პოსტტრავმული ზრდის უფრო მაღალი მაჩვენებელი ქალებში უფრო მეტად რელიგიურობას კი არ უკავშირდებოდეს, არამედ — მათ მეტად რეფლექსიურობას, ან სულაც საკუთარ გრძნობებსა და განცდებზე მეტად კონცენტრირებულობასა და მათზე ხმამაღლა, ღად საუბრისთვის მზაობას და უნარს. შესაბამისი ლიტერატურიდან (Thorne & McLean, 2003, McLean & Pasupathi, 2011; McLean & Syed, 2015) ცნობილია, რომ რაც უფრო მეტად საუბრობს ადამიანი მძიმე, ემოციურად დატვირთულ ან ტრავმულ გამოცდილებაზე, მით მეტად ინტენსიურად მიმდინარეობს მომხდარში აზრის, საზრისის დანახვის პროცესი და მით მეტია შედეგად მიღებული პოზიტიური შენაძენი და, აქედან გამომდინარე, ზრდის განცდაც. ასევე, ემპირიულად არის დასაბუთებული (McAdams, 2009), რომ ქალებს მეტად ახასიათებთ საკუთარ განცდებზე ფოკუსირება, საკუთარი გამოცდილების სპირალისებრი და მეტად ანალიტიკური თხრობა, რაც, ასევე, შეიძლება ხელს უწყობდეს პიროვნული ზრდის განცდას.

საკუთარ განცდებზე საუბარი, ცხადია, სხვა ადამიანებთან ურთიერთობას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, ამ ურთიერთობების გადააზრების ბიძგსაც შეიძლება ამღევდეს მათ. ასეთ ჭრილში განხილვის კონტექსტში ლოგიკურად გამოიყურება ქალების შემთხვევაში უფრო მეტი ზრდის განცდა ადამიანებთან ურთიერთობებისა და სპირიტუალური ცვლილება-ცხოვრების დაფასების სკალებზე.

რაც შეეხება გადატანილი ტრავმული მოვლენის მიხედვით პოსტტრავმული ზრდის მაჩვენებლების განსხვავებას, მულტივარიაციულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ოთხიდან მხოლოდ ერთ, ახალი შესაძლებლობების სკალაზე იყო განსხვავება მოცემულ შერჩევაში, კერძოდ, იმ ადამიანებს უფრო მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ ამ სკალაზე, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში დაშორდნენ პარტნიორს/მეუღლეს, იმათთან შედარებით, ვინც ახლობელი ადამიანის გარდაცვალება გადაიტანა დროის ამავე პერიოდში. ასეთი შედეგის ერთ-ერთი შესაძლო ახსნა შეიძლება ის იყოს, რომ დასრულებული ურთიერთობების შემდეგ ადამიანები მეტ-ნაკლებად ხედავენ ახალი ურთიერთობების დაწყების ან სხვა საქმიანობით დაკავების პერსპექტივას მაშინ, როცა ადამიანის გარდაცვალების გამო შეწყვეტილი (და არა — დასრულებული) ურთიერთობის შემდეგ ისინი ნაკლებად ფიქრობენ, ხედავენ ან სურთ, რომ დაინახონ ახალი შესაძლებლობები.

## კვლევის შეზღუდვები და სამომავლო მიმართულებები

ამ შედეგების ინტერპრეტაციისას რამდენიმე შეზღუდვა არსებობს. პირველ რიგში, ეს არის შერჩევის მოცულობა. სასურველი იქნებოდა, გაცილებით დიდი მოცულობის და მეტად წარმომადგენლობით შერჩევასთან მუშაობა, თუმცა უნდა ითქვას, რომ კითხვარის ორიგინალური ვერსია უნივერსიტეტის 600 სტუდენტისგან შემდგარი შერჩევის მონაცემებზე დაყრდნობით შეიქმნა. მეორე, ეს თავად დასახელებული მოვლენა შეიძლება იყოს, რომლის მიხედვითაც გაერთიანდნენ მონაწილეები სხვადასხვა ჯგუფში. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები თავად ასახელებდნენ ყველაზე სტრესულ მოვლენას, სრულიად შესაძლებელია, რომ ეს მოვლენები ყველა შემთხვევაში არ იყო საკმარისად „სეისმური“ ანუ საკმარისად არ შეარყია მათი სამყაროს ბაზისური კომპონენტები, რაც პოსტტრავმული ზრდის ზოგიერთი მოდელის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს (Calhoun & Tedeschi, 2006; Janoff-Bulman, 2006; Tedeschi & Calhoun, 2004c). ასე მაგალითად, ბელიზიმ და ბლანკმა (2006) პოსტტრავმული ზრდის კვლევაში ემოციური ინტენსივობა გაითვალისწინეს და აღმოაჩინეს, რომ აღქმული ინტენსივობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა პოსტტრავმული ზრდის წინასწარმეტყველებაში. ამიტომ, მართალია, წინამდებარე კვლევის მონაწილეები ხუთქულიან სკალაზე აფასებდნენ მათ მიერვე დასახელებული ყველაზე სტრესული მოვლენის ინტენსივობას, ეს არ იყო საკმარისი იმის დასადგენად, რამდენად შეარყია მოცემულმა მოვლენამ ინდივიდის სუბიექტური სამყარო.

მიუხედავად არსებული შეზღუდვებისა, შესაძლებელია კვლევის შემდგომი მიმართულებების დასახვა. პირველ რიგში, აუცილებელია პოსტტრავმული ზრდის კითხვარის ქართული ვერსიის კონსტრუქტის (კონვერგენციული და დივერგენციული) ვალიდობის დადგენა. მეორე, საკვლევა, რა კავშირია პოსტტრავმულ ზრდასა და ინდივიდის სუბიექტური სამყაროს კომპონენტების ცვლილებებს შორის. მესამე, სხვადასხვა კულტურაში წარმოებული კვლევა აჩვენებს, რომ ადამიანები

განსხვავებულად განიცდიან პოსტტრავმულ ზრდას, ამიტომ გასარკვევია, კონკრეტულად რას მოიაზრებს შინაარსობრივად ეს კონსტრუქტი ქართულ რეალობაში. ამას უკავშირდება კვლევის კიდევ ერთი მიმართულება, კერძოდ, კითხვარის დებულებების შინაარსობრივი, თვისებრივი ანალიზი (რაც, ნაწილობრივ, სპონტანურად განხორციელდა კითხვარის პილოტირებისას), რაც გაცილებით მეტ ინფორმაციას მოგვცემდა იმის შესახებ, კონკრეტულად რას გულისხმობენ ადამიანები ამა თუ იმ დებულებაში მოცემულ ტექსტში და როგორ ხედავენ საკუთარ პიროვნულ ზრდას მძიმე ცხოვრებისეული მოვლენების შემდეგ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Bartrum, D. (2000). *International Guidelines for Test Use*. Belgium: : International Test Commission. [On-line].
2. Beaton, D. E., Bombardier, C., Guillemin, & Ferraz, M. B. (2000). Guidelines for the process of cross-cultural adaptation of self-report measures. *SPINE*, vol. 25 (24), 3186-3191.
3. Bellizi, K. M., & Blank, T. O. (2006). Predicting posttraumatic growth in breast cancer survivors. *Health Psychology*, 25,47-56.
4. Calhoun, L. G. & Tedeschi, R. G. (2006). *Handbook fo Posttraumatic Growth: Research and Practice*. New Jersey: Lawrence Erlbaum Associates.
5. Calhoun, L. G. & Teteschi, R. G. (2006). The foundations of postttraumatic growth: an expanded framework. In L. G. Calhoun, *Handbook of Posttraumatic Growth: Research and Practice* (pp. 3-23). New Jersey, London: Lawrence Erlbaum Associates, Publishers.
6. Cronbach, L. J. (1951). Coefficient $\alpha$ and the internal structure of tests. *Psychometrika*, 16, 297-334.
7. Field, A. (2013). *Discovering statistics using IBM SPSS*. Sage.
8. GeoStat, National Statistics Office of Georgia, [http://www.geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=152&lang=eng](http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=152&lang=eng), last seen 01.06.2015.
9. Ho, S. M.Y., Chan, C. L.W., & Ho, R. T. H. (2004). Posttraumatic growth in Chinese cancer survivors. *Psychooncology*, 13,377-389.
10. Holmes, T. H. & Rahe, R. H. (1967). The Social Readjustment Rating Scale. *Journal of Psychosomatic Research*, Vol. 11, 213-218.
11. International Test Commission. (2010). *International Test Commission Guidelines for Translating and Adapting Tests* (<http://www.intestcom.org>). Belgium: International Test Commission.
12. Jayawickreme E., & Blaickie, L. E. R. (2014). Post-traumatic growth as positive change: Evident, controversiesand future directions. *European Journal of Persoanlity*, 28, 312-331.
13. Janoff-Bulman, R. (2006). Schema-change perspectives on posrvaumatic growth. In L. G. Calhoun, & R. G. Tedeschi (Eds.), *Handbook of posttraumadc growth* (pp. 81-99). Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum Associates

14. Karanci, A. N., Isikli, S., Aker, A. T., Gul, A. I., Erkan, B.B., Ozkol, H. and Guzel.H. Y., (2012). Personality, posttraumatic stress and trauma type: factors contributing to posttraumatic growth and its domains in a Turkish community sample. *European Journal of Psychotraumatology*, 3: 17303 - <http://dx.doi.org/10.3402/ejpt.v3i0.17303>
15. Khechuashvili, L. (2014a). Cross Cultural Adaptation of Posttraumatic Growth Inventory and Psychological Well-Being Scales for Georgia Population. *GESJ: Education Sciences and Psychology* // 2014 | No.4(30), pp. 53-64 (<http://gesj.internet-academy.org.ge/download.php?id=2337.pdf>)
16. Khechuashvili, L. (2014b). Comparative study of psychological well-being and posttraumatic growth indicators in IDP and non-IDP citizens of Georgia. *GESJ: Education Sciences and Psychology* // 2014 | No. 6(32), pp. 52-58 (<http://gesj.internet-academy.org.ge/download.php?id=2369.pdf>).
17. Lamela, D., Figueiredo, B., Bastos, A., and Martins, H. (2013). Psychometric Properties of the Portuguese Version of the Posttraumatic Growth Inventory Short Form among Divorced Adults. *European Journal of Psychological Assessment*; Vol. 30(1):3-14.
18. Lev-Wiesel, R., & Amir, M. (2003). Posttraumatic growth among holocaust child survivors. *Journal of Loss and Trauma*, 8,229-237.
19. Maercker, A., & Langner, R. (2001). Posttraumatic personal growth: Validation of German versions of two questionnaires [written in German with English abstract]. *Diagnostics*, 47, 153-162.
20. McAdams, D. P. (2009). *The Person: An Introduction to the Science of Personality Psychology*, 5th ed. USA: John Wiley & Sons, Inc.
21. McLean, K. C. & Pasupathi, M. (2011). Old, New, Borrowed, Blue? The Emergence and Retention of Personal Meaning in Autobiographical Storytelling. *Journal of Personality*, 79:1, 135-163.
22. McLean, K. C. & Syed, M. (Eds.) (2015). *The Oxford handbook of identity development*. Oxford University Press.
23. Powell, S., Rosner, R., Butollo, W., Tedeschi, R. G., Calhoun, L. G. (2003). Posttraumatic Growth after war: a study with former refugees and displaced people in Sarajevo. *Journal of Clinical Psychology*, 59(1), 71-83.
24. Prati, G. & Pietrantonio, L. (2014) Italian Adaptation and Confirmatory Factor Analysis of the Full and the Short Form of the Posttraumatic Growth Inventory, *Journal of Loss and Trauma: International Perspectives on Stress & Coping*, 19:1, 12-22.
25. Rahmani A, Mohammadian, R, Ferguson, C, Golizadeh L, Zirak M, Chavoshi H. (2012). Posttraumatic growth in Iranian cancer patients. *Indian Journal of Cancer*, 49:3, 287-292.
26. Sheikh, A. I., & Marotta, S. A. (2005). A cross-validation study of the Posttraumatic Growth Inventory. *Measurement and Evaluation in Counseling and Development*, 38, 66-77.

27. Shakespeare-Finch, J., Martinek, E., Tedeschi, R. G., & Calhoun, L. G. (2013) A Qualitative approach to Assessing the Validity of the Posttraumatic Growth Inventory, *Journal of Loss and Trauma: International Perspectives on Stress & Coping*, 18:6, 572-591.
28. Taku, K., Calhoun, L. G., Tedeschi, R. G., Gil-Rivas, V., Kilmenr, R., P., & Cann, A.O. (2007). Examining posttraumatic growth among Japanese University Students. *Anxiety, Stress, & Coping*, 20(4), 353-367.
29. Tedeschi, R. G., & Calhoun, L. G. (1995). *Trauma and Transformation: Growing in the aftermath of suffering*. Thousand Oaks, CA: Sage Publication.
30. Tedeschi, R. G. and Calhoun L. G.O. (1996). The Posttraumatic Growth Inventory: Measuring the Positive Legacy of Trauma. *Journal of Traumatic Stress*, Vol. 9, No.3.
31. Tedeschi R. G., and Calhoun, L. G. (2004). Posttraumatic Growth: Conceptual Foundations and Empirical Evidence in Psychological Inquiry. *An Interpersonal Journal for the Advancements of Psychological Theory*, Vol. 15, Issue 1, 1-18.
32. Tedeschi R. G., and Calhoun, L. G. (2004c). Posttraumatic Growth: A New Perspective on Psychotraumatology. *Psychiatric Times*. Vol. 21. No 4, 58-60.
33. Thorne, A., & McLean, K. C. (2003). Telling traumatic events in adolescence: A study of master narrative positioning. In R. Fivush & C. Haden (Eds.), *Connecting culture and memory: The development of an autobiographical self*, pp. 169-185. Mahwah, NJ: Erlbaum.
34. Weiss, T., & Berger, R. (2006). Reliability and validity of a Spanish version of the Postmumatic Growth Inventory, *Research on Social Wrk Practife*, 16, 19 1-199.

---

**Article received: 2015-08-24**